



ხათუნა გოგორიშვილს
ესპანეთში დასვენება
380 დოლარი დაუჯდა



რუსთაველის თეატრის
შენობას ზზარები
ემატება

მთავარი პოლიტიკა **ეკონომიკა** საზოგადოება დაიჯესტი რეტრომედია ევროპა ირჩევს ხელოვნება სპორტი ბლოგი ვიდეო

Like 24 Send Bookmarks

დარიალის მშენებარე ჰესის გამო მდინარე იწრიტება, კალმახი კი - ქრება



2012-07-19 12:19:00

გიორგი ბექაშვილი

დარიალი ჰესის მშენებლობის გამო, მდინარე თერგში წითელ წიგნში შეტანილი ნაკადულის კალმახი გაქრება. თუმცა, კალმახი კი არა საერთოდ მდინარე გაქრება, რადგან ხეობის 8 კმ-იან მონაკვეთზე მდინარეში დარჩება მხოლოდ მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10 პროცენტი. ეს ყველაფერი მთავრობას არ აინტერესებს. მათთვის მთავარი მიღებული ელექტროენერჯის სარფიანად გაყიდვაა.

არასამთავრობო ორგანიზაციები „მწვანე ალტერნატივა“ და

„სტეფანწმიდა“ ხელისუფლებას და კომპანია „დარიალი ენერჯის“ დარიალის ჰესის მშენებლობის შეჩერების კენ მოუწოდებენ. როგორც ცნობილია, 2011 წლის სექტემბერში დარიალის ხეობაში, მდინარე თერგზე, საქართველო-რუსეთის საზღვართან ახლოს, 110 მეგავატი დადგმული სიმძლავრის დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო. პროექტი ითვალისწინებს დაახლოებით, 8 კმ სიგრძის მონაკვეთზე მდინარის წყლის უდიდესი ნაკადის - 90%-ის მოქცევას ჯერ სადერეივაციო მილსადენში და შემდგომ სადერეივაციო გვირაბში.

არასამთავრობოების ინფორმაციით, პროექტს ექნება შეუქცევადი ზეგავლენა მდინარეზე დამოკიდებულ სახეობებზე, მათ შორის, წითელ ნუსხაში შეტანილი ნაკადულის კალმახზე და გამოიწვევს თერგში ამ პოპულაციის გაქრობას.

„ჩვენი მიზანია, საზოგადოების ინფორმირება დარიალის ჰესის მშენებლობისა და ოპერირების უარყოფით შედეგებზე, ხელისუფლებას და „დარიალი ენერჯის“ მოვუწოდებთ, შეაჩერონ დარიალი ჰესის მშენებლობა იმ დრომდე, სანამ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით, მდინარეში დასატოვებელი წყლის ის ოპტიმალური ოდენობა დადგინდება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხეობის ლანდშაფტური და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას, ისე კულტურულ-ეთნოგრაფიულ და ტურისტულ ფასეულობებზე მინიმალურ ზეგავლენას“. - აღნიშნავენ „მწვანე ალტერნატივაში“.

„დარიალი ჰესის“ მშენებლობაზე დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტმა გასცა, რომელსაც ნიკოლოზ ჭახანაია ხელმძღვანელობდა. ჟურნალისტების კითხვაზე რატომ გასცა გარემოს დაცვის სამინისტრომ „დარიალი ჰესის“ მშენებლობაზე ნებართვა მაშინ, როცა კანონით, ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰესის მშენებლობა დაუშვებელია, ჭახანაიამ განაცხადა, რომ ის სამინისტროში აღარ მუშაობს.

„დაცული ტერიტორიების შესახებ“ კანონით, ეროვნული პარკის სხვადასხვა ზონაში სხვადასხვა საქმიანობაა დაშვებული. კანონში არ არის განსაზღვრული რა სახის საქმიანობაა აკრძალული, მაგრამ წერია, რა არის დაშვებული. კანონით, ჰესის მშენებლობა არ შედის დაშვებულ საქმიანობათა ნუსხაში.

„სულ 11 კმ სიგრძის დარიალის ხეობის 8 კმ-იან მონაკვეთზე მდინარეში დარჩება მხოლოდ საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10 პროცენტი. პროექტი აბსოლუტურად შეცვლის დარიალის ხეობის ლანდშაფტს, რის გამოც ის დაკარგავს ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ - ეთნოგრაფიულ და ტურისტულ ფასეულობას. პროექტს ასევე ექნება ძალზე მნიშვნელოვანი შეუქცევადი ზეგავლენა „წითელ წიგნში“ შეტანილ სახეობაზე“ - აღნიშნავენ გარემოსდაცველები.

110 მეგავატი დადგმული სიმძლავრის დარიალიჰესი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რუსეთ-საქართველოს საზღვართან, მდინარე თერგის მარჯვენა ფერდზე, მდინარე ყუროს და ხდის წყალს შორის შენდება. ჰესს შპს „დარიალი ენერჯი“ აშენებს.

მთავრობის ინფორმაციით, ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში 120 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა ჩაიდოს. ჰესი ექსპლუატაციაში 2014 წელს უნდა შევიდეს. „დარიალი ჰესის“ მიერ გამომუშავებულ ელექტროენერჯიას ზამთარში საქართველო მოიხმარს, ზაფხულში კი ელექტროენერჯის ექსპორტი თურქეთში უნდა განხორციელდეს.

ეს პირველი შემთხვევაა, არ არის, როდესაც გარემოს დამცველები მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფების მიზეზით ჰესების მშენებლობას აპროტესტებენ, თუმცა მათ პროტესტი ენერგეტიკის სამინისტროსთვის სულ ერთია. მაგალითად, „მწვანეთა მოძრაობა“ აპროტესტებს „ნამახვანჰესის“ მშენებლობას. მწვანეები ირწმუნებიან, რომ ჰესის მშენებლობა 70-იანი წლების პროექტით იგეგმება, რომელიც თავის დროზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის მთავრობამ დაიწუნა. მოძრაობის ხელმძღვანელი ნინო ჩხობაძე ამტკიცებს, რომ შესაძლოა, დაიწყოს შეუქცევადი ეკოლოგიური პრობლემები, რეგიონი იქცევა მეწყერსაშიშ ზონად, 14 ისტორიული სოფელი სერიოზული დატბორვის წინაშე აღმოჩნდება.

[]

გამოკითხვა

ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს რომელ პარტიას დაუჭერდით მხარს?

- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- კოალიცია "ქართული ოცნება"
- ქრისტიან დემოკრატები
- ახალი მემარჯვენეები
- დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო
- თავისუფალი საქართველო

ხმის მიცემა

სარეკლამო ბანერი

270 X 150

TV 9 LIVE

ბლოგი



2012-03-08 15:20:27
უინტერესო პარლამენტის საინტერესო სხდომა

სარეკლამო ბანერი

270 X 150

ვალუტა